პაულ ტილიხი

კულტურის თეოლოგია

რელიგიის პერსპექტივიდან
დანახული კულტურა

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2024

წიგნი შემდეგ კითხვებს უპასუხებს: რა კულტურულ ფორმებს იღებს ქრისტიანობა უკანასკნელ საუკუნეებში და დღეს? როგორ ახდენს ის ზეგავლენას ხელოვანთა შემოქმედებასა და აზროვნებაზე, თანამედროვე კულტურაზე?

თარგმანი შესრულებულია
შემდეგი გამოცემის მიხედვით:
Auf der Grenze. Aus dem Lebenswerk Paul
Tillichs, Evangelisches Verlagswerk, Stuttgart 1962.

მთარგმნელი: თამარ კოტრიკაძე
კორექტორი: ნინო ჯავახიშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2024
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-6550-3

სარჩევი

წინასიტყვაობა.....4

კულტურის თეოლოგია.....11

1. თანამედროვე კულტურის საგანგებო ხასიათი...17

2. კულტურის ფორმები,.....25

რომლებშიც რელიგია რეალიზდება.....25

3. თანამედროვე კულტურაზე.....30

ეკლესიის ზეგავლენა.....30

ეგზისტენციალიზმისა და.....35

ფსიქოანალიზის თეოლოგიური მნიშვნელობა.....35

ქრისტიანობის თვითშეფასება.....63

სხვა რელიგიებთან მისი შეხვედრის ჭრილში.....63

გერმანელ-ამერიკელი ქრისტიანი მოაზროვნე და კულტურის ფილოსოფოსი პაულ ტილიხი (1886-1965) მართებულად ითვლება XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს თეოლოგად. მისი შემოქმედების მთავარი თემებია ქრისტიანობა და კულტურა, ქრისტიანობის ადგილი თანამედროვე კულტურასა და ადამიანის სულიერ გამოცდილებაში, ევროპელი ერების ისტორიული ბედისწერა სახარების ჭრილში. ამ პრობლემების განხილვისას მკვლევარი ონტოლოგიისა და ანთროპოლოგიის, კულტუროლოგიისა და ფილოსოფიის ისტორიის, ქრისტოლოგიისა და ბიბლიური ჰერმენევტიკის ტერმინებს იშველიებს.

გერმანული ინტელექტუალური ტრადიციის თანახმად, ტილიხი თავს მოვალედ თვლიდა, აზროვნების ისტორიაში მის მიერ შეტანილი წვლილი

პაულ ტილიხი

კულტურის თეოლოგია

თუკი რელიგიის ცნებას დიადი მცნებებისაგან გავმიჯნავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რელიგია არსებითად მაქსიმალური დაინტერესების მდგომარეობაა იმით, რაც ჩვენ უკიდურეს ინტერესს უნდა შეადგენდეს და შეადგენს კიდეც. ეს იმას ნიშნავს, რომ რწმენა უკიდურესი დაინტერესებით გატაცების მდგომარეობაა, ხოლო ღმერთი ამ ინტერესის აღმნიშვნელი სახელია. რელიგიის ამგვარ განსაზღვრებას ცოტა რამ აქვს საერთო იმ აღწერასთან, რომლის მიხედვითაც, რელიგია იმ უზენაესი ყოფიერის რწმენაა, რომელსაც ღმერთი ეწოდება, არც ამგვარი რწმენის თეორიულ და პრაქტიკულ შედეგებთან აქვს რაიმე საერთო. ნაცვლად ამისა, რელიგიის არა თეორიულ, არამედ ეგზისტენციურ გაგებას გთავაზობთ.

1. თანამედროვე კულტურის საგანგებო ხასიათი

ჩვენი დღევანდელი კულტურა ერთი წამყვანი მოძრაობისა და ამ მოძრაობის წინააღმდეგ მომართული მზარდი პროტესტის ტერმინოლოგიით უნდა იყოს აღწერილი. ამ გაბატონებული მოძრაობის სულისკვეთება ინდუსტრიული საზოგადოების სულისკვეთება გახლავთ, ხოლო პროტესტის სულისკვეთება ადამიანის დღევანდელი ტრაგიკული მდგომარეობის ეგზისტენციური ანალიზის სულისკვეთებაა. ჩვენი ცხოვრების სტილი – XVIII-XIX საუკუნეებში ჩამოყალიბებული და დღემდე არსებული – ინდუსტრიული საზოგადოების ჯერაც უდრეკ სულიერ ძალას გამოხატავს. აზროვნების, ცხოვრებისა და მხატვრული გამოხატვის ეს სტილი არა-